PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - კოლეჯის "ბლექსი" მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

იაზონ დანელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 1 აპრილის №313758 ბრძანების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯი ,,ბლექსის" "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება ქ. ბათუმში (მიხეილ ლერმონტოვის №92ა), პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნული ვიზიტის განხორციელების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა ვიზიტის დღის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ადმინისტრაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი გაიმართა ZOOM-ის გამოყენებით 2021 წლის 15 აპრილს, რომლის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულების განხორციელების მიზნით ახალდამატებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები, შესაბამისი აუდიტორიები და საბიბლიოთეკო რესურსები.

სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ განხორციელებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტი შეფასებული იყო ,,სრულ შესაბამისობაში“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დაწესებულებას სურდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული კვოტა გაეზარდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის 20 პროფესიული სტუდენტით არაინტეგრირებულ პროგრამაზე მიღებისთვის ინტეგრირებული პროგრამისთვის 40 პროფესიული სტუდენტის შენარჩუნებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულების წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობების გადამოწმების საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამისთვის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტი მიმდინარე ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ისევ შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	№01-02/156; 01.08. 19/ №01-02/45; 05.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქ. N 92ა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის შეფასება სსიპ კოლეჯ ,,ბლექსის“ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ქსელი და სისტემები“ ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2020 წელს დამტკიცებული ჰქონდა კვოტა 40 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული მიდგომით სწავლებისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად 2020 წელს გამოიკვეთა აღნიშნულ პროგრამაზე მზარდი მოთხოვნა და კოლეჯმა გადაწყვიტა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 20 პროფესიული სტუდენტით არა ინტეგრირებული მიდგომით განსახორციელებელი პროგრამისთვის. საერთო ჯამში, მატერიალური რესურსების გადამოწმება ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა 60 პროფესიული სტუდენტის სწავლების შეფასების თვალსაზრისით კოლეჯის შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომ იგი მუშაობს რამდენიმე ცვლაში, მათ შორის, შეჭრილი გრაფიკით. გარდა ამისა, ინტეგრირებული მიდგომით სასწავლო გეგმა გაწერილია 3 წელზე, რაც C გარემოების კვირეულ დატვირთვას ამცირებს თითო ჯგუფისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A გარემო, ერთი A/B გარემო, ორი B და ასევე, ერთი C გარემო ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად. თითოეული გარემოს მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში მაქსიმუმ 20 პროფესიულ სტუდენტზე. მეთოდოლოგიის თანახმად, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ცვლებში, მათ შორის შეჭრილი გრაფიკით, ასევე გარკვეული სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობაც. კოლეჯის მიერ პროგრამის ფარგლებში გარემოები არ დამატებულა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ინტეგრირებული მოდულის C გარემოს გამტარუნარიანობა, რომლის დატვირთვა სასწავლო გეგმების მიხედვით არ ზღუდავს ერთდროულად 2 20-20 პროფესიული სტუდენტით ან 3 20-20 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, რადგან ზემოთ აღნიშნული ოთხი გარემოს (ერთი A გარემო, ერთი A/B გარემო, ორი B) გამტარუნარიანობა უპირობოდ გაატარებს აღნიშნული კომპლექტაციით ჯგუფების რაოდენობას. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 60 პროფესიული სტუდენტის (40 - ინტეგრირებული და 20 -არაინტეგრირებული პროგრამებისთვის) - გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯს საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება აქვს დადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (6 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის, 4 CISCOს საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი). აღნიშნული პრპფესიული განათლების მასწავლებლები დაკავებულები იყვნენ აქამდე მოქმედ პროგრამაშიც, თუმცა პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის ანალიზი ადასტურებს, რომ მათი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეებიც, რომლის მიხედვით დასტურდება მათი კომპეტენციების შესაბამისობა განსახორციელებელ მოდულთან. პროგრამის ფარგლებში 5 ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები 14 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით. პროფესიული პროგრამის ყველა მასწავლებელს, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების ჩათვლით, გავლილი აქვს მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის ტრენინგები, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადასტურდა მისი ჩართულობა პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელი არის CISCO - ს საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მაგისტრი.

5. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახითაც და გამოიყენება სასწავლო პროცესში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.
6. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების 2 სპეციალისტი, სსსმ პირთა ასისტენტი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმანი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია კოლეჯში, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი პროგრამის შემთხვევაში ჯერ არ გამოყენებულა.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსება, რაც სრულად ფარავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ხარჯებს, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტში. ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- კოლეჯის ვებ-გვერდი: www.blacksea.edu.ge;
- სსიპ კოლეჯის “ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 04 ივნისის №01-02/91 ბრძანება „სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ,,სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა” - სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 4 თებერვლის N01-02/22 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

13.05.2021 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------